№ 110 მაისი 30, შაბათი 1892 მაისი 30, შაბათი № 110

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას**.

ხელობაღა აქვს კეთება:

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჭაერს, ჭაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საავთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—19)

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აუწყებს თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის მყიდველთ, რომ ამხანაგობამ უკვე მიიღო პეტერბურგში დაბეჭდილი ავტორის სურათი და, ვისაც უყიდნია ზემოხსენებული წიგნი, შეუძლიან სურათი წარმოადგინოს ახალზედ გამოსაცვლელად.

თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-II ტომიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. (5—1)

მთავრობის ნება დართვით შვიდს მომავალს ივნისს, დილის 10 საათზედ, შესდგება განსაკუთრებული კრება ტფილისის თავად-აზნაურობისა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში განსახილველად თავად-აზნაურთა მამულების სიისა და გამოსარკვევლად იმ საგნისა, თუ როგორ უნდა დაწესდეს პურის შესანახი ბეღლები (მაღაზიები) მაზრებში. ამისთვის ტფილისის მაზრის კეთილშობილთ წინამძღოლი სთხოვს თავად-აზნაურთ ტფილისის მაზრისას მობრძანდნენ ზემოდ აღნიშნულს დროს განსაკუთრებულს კრებაზედ. (3—1)

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში საზოგადო კრება

საურთიერთო დამხმარებელ

ამხანაგობისა.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ კანტორის მოქმედებისა;

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი, და 3) მორიგ საქმეთა განხილვა. (5—4)

---

31 მაისს, კვირას,

დილის 11 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

ქართულის დრამატიულის საზოგადოების

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—6)

შაბათს, 30 მაისს,

ბანკის ბაღში და თეატრში გამართული იქნება

საჯირნოო საღამო

სასარგებლოდ ქართულ სახალხო ბიბლიოთეკისა.

დაუკრავს საზანდარი და მუსიკა.

ფასი ბილეთისა 1 მან.

დასაწყისი 8 ½ საათზედ.

ახალი ამბავი

⁂ დღეს საზაფხულო თეატრში ბ-ნი ნ. გ. შახლამიანი კონცერტს გაჰმართავს. პროგრამმა კონცერტისა საკმაოდ ვრცელია. მონაწილეობას მიიღებს სხვათა შორის პიანისტი კესსნერი.

⁂ გუშინ-წინ საზაფხულო ქართულს თეატრს „ჩანგში“ („სტრელნაში“) ნებიერიძის დასმა წარმოადგინა ვოდევილი „იჰვიანი“. უმთავრესი როლები ბ-ნ ნებიერიძემა და ქ-ნმა ნებიერიძისამ ჩინებულად შეასრულეს. დასასრულ წარმოდგენისა ლეკური გაიმართა.

საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და ნასიამოვნები დაბრუნდა. ანტრაქტების დროს უკრავდა გურულ მემუსიკეთა ხორო, რომელიც აქამდე რუსეთში მოგზაურობდა და ახლა უკვე დაბრუნდა ტფილისში და ზაფხულის გასვლამდე ხსენებულს თეატრში დაუკრავს მუსიკას ყოველ საღამოობით.

⁂ როგორც ვუწყით, ამას წინად პოლიცმეისტერმა გამოუცხადა ბოქაულებს, რომ ვაჭრებს ნუ მისცემთ კვირა-უქმე დღეს ვაჭრობის ნებას და ნუ დაარღვევინებთ ქალაქის საბჭოს დადგენილებასაო. ვაჭრები მაინც თავისას არ იშლიან და ამიტომ პოლიცია იძულებულია საჩივარი აუტეხოს ხოლმე. 27 მაისს ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ თხუთმეტი ამ გვარი საქმე გაარჩია, თხუთმეტივე ოქმი პოლიციის მესამე განყოფილებაშია შემდგარი, და ყველას სამ-სამი მანეთი ჯარიმა გადაუწყვიტა.

⁂ განკარგულებაა მოხდენილი, რომ ბაქოდგან კიდევ ოთხი ვაგონი ნავთი ჩაიტანონ ყარაიაზთან, სადაც ერთს ალაგას დაგროვილსა და დახვეტილს კალიას ამ ნავთითა სწვავენ.

⁂ გუშინ, 29 მარტს, მე-8 პოლიციის განყოფილების ბოქაულმა ამ განყოფილებაში მყოფ სახლების პატრონებს თავი მოუყარა დე-სიმონოვის მოედანზედ დილის შვიდ საათზედ და მთელი დარიგება წაუკითხა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოასუფთაონ თავისი ეზოები და კარმიდამონი, რადგან თუ ასე არ მოვიქცევით, შეიძლება ათასი გადამდები სნეულება რამ გაჩნდეს და შესაძლებელია, ხოლერაც გვეწვიოსო.

⁂ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა რუსეთიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის მიერ დაბარებული 18 მაშინისტი. ეს მაშინისტები იმისთვის დაიბარეს, რომ რამდენმამე მაშინისტმა სამსახურს თავი დაანება და რკინის გზის მატარებლის მიმოსვლა-კი ამ ჟამად უფრო გაძლიერდა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა 28 მაისს მისწერა ყველა ბოქაულებს იმის გამო, რომ სპარსეთში ხოლერა გაჩნდა, ვუბრძანებ ყველა ბოქაულს, რომ ხვალინდელ დღიდგან ხელ-მეორედ დაათვალიერონ მთელს საბოქაულოში სასახლკარო ადგილები, სასტუმროები, ქარვასლები და სხვანი. ამასთანავე ვთხოვ ბოქაულებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჯირგინებისა და ფეხის-ადგილების სისუფთავეს და დაავალონ სახლის პატრონებსა და იჯარადრებს, რომ ეს ადგილები სუფთად შეინახონ და სადეზინფექციო წამლებით აპკურონ ხოლმე. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის საბჭოს 1883 წლის სავალდებულო დადგენილების მე-2 და 3 პარაგრაფის ძალით ამ ადგილებს გასწმენდავენ და წამლებით აპკურებენ სახლის პატრონის ხარჯითაო.

⁂ გოლოვინის პროსპექტზედ მაღაზიების ფანჯრებში გამოკიდებულია ფოტოგრაფიის სურათები ა. ს. პუშკინის ძეგლის კურთხევისა, რომელიც 25 მაისს მოხდა ტფილისში.

⁂ საერო განათლების სამინისტროს დეპარტამენტმა განმარტა, რომ რეალურ სასწავლებლის მეხუთე კლასის მოწაფეები მეექვსე კლასში გადასვლის დროს უნდა გამოიცადნენ ბუნების მეტყველების ყველა იმ საგნის ცოდნაში, რომელიც წინა კლასებში უსწავლიათო.

⁂ ბავარიის ერთი მემამულე, გვარად კორნბლიტი, რომელიც ამ ჟამად რუსეთში იმყოფება, აცხადებს, რომ მე ვკისრულობ ყველა ადგილში კალიის გაწყვეტას ახალის საშუალებითაო.

⁂ ბათუმი: 27 მაისს, დილის 11 საათსა და 20 წუთზედ, შვიდი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა, გადავარდა და დაზიანდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

28 მაისს, კობუხის ქუჩაზედ, სოფ. ნეჩაევკის მცხოვრებელმა აღათია არეფევამ, 19 წლისამ, თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით. ქალი საავადმყოფოში წაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა.

◆

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

19 მაისი

უკანასკნელი დღეა ბანკის კრებათა. წინა დღეს თ. ი. გ. მაჩაბელმა სთხოვა, რომ ჯანდიერის მამულის შესახებ ლაპარაკის ნება მომეცით ხვალაო. თავმჯდომარემ ეს ნება დართო და დღეს, 19 მაისს, საზოგადოება მოუთმენლად ელის ამ საგნის შესახებ ლაპარაკის დაწყებას. მთელი თეატრი ბანკისა ისეა ავსებით სავსე, რომ ნემსის ყურწი არ ჩავარდება. განსაკუთრებით ბევრნი არიან ქალები, ლოჟები მანდილოსნებით არის სავსე. ჯერ წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი და შემდეგ ი. გ. მაჩაბელს ნება მიეცა ლაპარაკისა.

თ. ი. გ. მაჩაბელი. ჩემ მიერ გუშინ აღძრული საგანი იმდენად შესანიშნავ საგნად მიმაჩნია, რომ კრებას ვთხოვ მის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკის ნება მომცეს („სთქვით“, „სთქვით!“). ვიმეორებ, ეს საგანი შეეხება ყოველის ჩვენგანის ქონებას და საიდუმლო აქ არაფერი უნდა იყოსრა. სამ ძმას ჯანდიერებს, ვლადიმერსა, ზაალსა და ალექსანდრეს, ბანკში დაგირავებული ჰქონდათ თავიანთი მამულები. ორს ძმას ერთად, ერთს—ცალკე მოკლე-ვადიანის სესხით. საქმე ასე იყო გარეგანის მხრივ, მაგრამ ყველამ-კი იცოდა და, უეჭველია, ბანკსაც ეცოდინებოდა, რომ სამივ ძმანი ერთად სცხოვრობდნენ. 28 ნოემბერს წარსულის წლისას მმართველობას მოუვიდა თხოვნა ძმათა ჯანდიერებისა, რომლითაც ბანკს აუწყებდნენ, რომ ვენახები დაგვესეტყვა, თავნის შემოსატანი გვადროვეთ და სარგებელს-კი წარმოვადგენთო. მმართველობამ ბანკისას ეს თხოვნა განუხილავს 5 დეკემბერს და მხოლოდ, ოთხის დღის შემდეგ, 9 დეკემბერს განაჩენი წარუწერია: „მთხოვნელს უარი ეთქვას, თავნის ვალის დაცდა არ შეიძლებაო, და მისი თხოვნა ზედამხედველს კომიტეტს გადაეცესო“. ამასობაში ჯანდიერები მოწყალებას-კი არა თხოულობდნენ, მარტო იმას ამბობდნენ, გვადროვეთო. ეს კანონიერი თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვებიათ და ამისი მაგალითი-კი არა ერთი და ორია. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მმართველობას ჯანდიერები წერილით აუწყებდნენ, ჩვენ მიერ გამოგზავნილი 89 მან. ყველა ძმის შემოსატან სარგებელში ჩაითვალეთო. თავისს განაჩენს შემდეგ მმართველობამ ჯანდიერებს დეპეშით აცნობა, რომ თქვენი მამული გასასყიდად არის დანიშნული და ფული სრულად შემოიტანეთო. კიდევ წარმოადგინეთ 298 მ., თორემ მამული გაგეყიდებათო. ერთი ძმათაგანი, სახელდობრ ვლადიმერი, დაუყოვნებლივ ფულსა ჰგზავნის და მმართველობას დეპეშით აუწყებს ამ გარემოებას თელავის ფოსტის კანტორა. ფული გამოგზავნილია 262 მან., უფრო მეტი, ვიდრე ვლადიმერ ჯანდიერისაგან ერგებათ. ყურადღება არ მიუქცევიათ იმ გარემოებისათვის, რომ წინანდელი 89 მან. ყოფილა და ყველა ეს ფული გაუძლვებოდა სამისავე ძმის ვალს, მხოლოდ 36 მან. დააკლდებოდა, დაუდგენიათ, რომ ვლადიმერ ჯანდიერის მამულს ნუ გავყიდით, რადგან ფული შემოიტანა, მომეტებული იმისავე თავნს ვალში მივიღოთ და დანარჩენის ორის ძმის მამული-კი გავყიდოთ. ეს რვაას თუმნიანი მამუ-

ლი ასთუმნად უყიდნია ვლადიმერ ჯანდიერის ცოლს. როცა შემდეგ მიმხვდარან, რომ 89 მან. ფულიცა აქვთ ამ ჯანდიერებს შემოტანილი და ორის ძმის მამული უკანონოდ გაგვიყიდნიაო, მმართველობას მიუმართავს უფროსის ნოტარიუსისათვის და უთხოვნია, ნუ დაამტკიცებთ ნასყიდობის ქაღალდსაო, მაგრამ ნოტარიუსს უარი უთქვამს. უცნაური ის არის, რომ ვაჭრობის სამის დღის შემდეგ, სახელდობრ 17 დეკემბერს, ზედამხედველს კომიტეტს ძლივს-ძლიობით გაურჩევია მმართველობის მიერ გადაცემული ძმ. ჯანდიერების თხოვნა და დაუდგენია: ამ თხოვნაზედ უარი ეთქვას, რადგან ერთის მამულისა შემოსატანი სრულიად მიღებულია და მეორე-კი გაიყიდაო!.. ამ გვარად, ბანკის ერთის წევრის მამული შეცდომით, უკანონოდ გაუყიდნიათ, ესე იგი ადამიანი სრულიად უდანაშაულოდ, სხვათა შეცდომის გამო, უმამულოდ დარჩენილა და უწმინდაესი უფლება მამულის პატრონისა დარღვეულა! აქ საქმე ის-კი არ არის, რომ ასეთი ამბავი ჯანდიერს დამართებია, რადგან შეიძლება ხვალ მეორეს დაემართოს, ზეგ—მესამეს და სხ. კრება უმაღლესი სამსაჯულოა და ამ კრებამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, შესაწყნარებელია ასეთი საქმე, თუ არა. ესეც ცოტაა: მმართველობას ბანკისას უნდა ვთხოვოთ, რომ აღადგინოს როგორმე უფლება უდანაშაულოდ დაზარალებულის კაცისა და ამა თუ იმ გზით მამული დაუბრუნოს პატრონს. ამას ითხოვს სამართალიცა და ჩვენი სინიდისიც! (ტაშის ცემა).

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. როცა ეს თ. ჯანდიერების საქმე წამოაყენეს, აქ საქმეებში ჩახედული კაცი ყოვლით უწინარეს ამას იკითხავდა: კრებას რა ხელი აქვს ამისთანა საქმეებთან? წინადვე ნუ შემიშინდებით ამის თქმაზედ და ნუ იფიქრებთ, რომ, რაკი ჩემი სიტყვა ამ მხრით მოვახვედრე ამ საქმეს, ვითომც მინდოდეს კრებას რაიმე მისდამი მინიჭებული უფლება ჩამოვართვა.

არა, ბატონებო, მე ამაზედ მეტად შორსა ვარ, და როცა ჩემს საკითხს თავის ჯეროვანს სინათლეს ქვეშ დავაყენებ, იმედია, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეგ საკითხი უსაბუთო და უსაფუძვლო არ არის.

რაკი ნებას მივცემთ, ვისაც რა ჰსურს, იმაზე აალაპარაკოს და მოაცდინოს კრება, ერთმა და ორმა კაცმა, შორს-კი ჩვენგან ამისთანა კაცები, რომ მოინდომოს ჩვენი სასაცილოდ აგდება, ეგ უწესობა მიზეზს მისცემს, გზას გაუხსნის ჩვენდა სასაცილოდ აგდებისას. მაგალითებრ, ვსთქვათ ორმა და სამმა მასხარა კაცმა განიზრახეს, მოდი ერთი ქართველებს ამ კრებებს ნუ გავათავებინებთ; ხვალ მე ვიტყვი, ამა-და-ამ კაცს მამული გაუყიდეს, მე მგონია გამგეობამ უკანონობა მოახდინა და გთხოვთ გაარჩიეთ, თორემ ქვეყანა დაიღუპაო. ავტეხოთ ამაზედ ლაპარაკი და თუ ყოჩაღები ვართ, ისე ვწეწოთ და ვგლიჯოთ ეს საგანი, რომ ერთი ორიოდე დღე მოვანდომოთ. ახლა მერე შენა სთქვი, რომ ეს ჩვენი გამგეობა მეტად უზრდელი რამ არის (ერთი კუნჭული კრებისა: გეყოფათ, გეყოფათ), წარმოიდგინეთ მე შევედი, ფეხზედ არ წამომიხტნენო. ახლა ამაზე ავაყაყანოთ ხალხი და ერთი ორიოდე დღეს ამაზე შევალევინოთ დრო და მოცალეობა. ახლა სხვა დღეს ავტეხოთ: ამა-და-ამ კაცს, ჩვენის ფიქრით, ფული სესხად ბევრი მისცეს, ამასა და ამას ცოტა და გავაბათ ამეებზე გაუთავებელი მასლაათი. მადლობა ღმერთს, ბანკი იმისთანა რთული რამ არის, რომ სალაპარაკო საგანი არ გამოგველევა და აგრე ვაწოწიალოთ კრება, მინამ ჩვენ თითონ არ მოგვეწყინება. რაკი ერთხელ იმ უწესოებამ ბინა დაიდვა, რომ ყველას ნება აქვს რაზედაც ჰსურს, იმაზე ამასლაათოს კრება, ჩვენ ვიღა დაგვიშლის, ჩვენც მოვყვეთ და გავაბათ გაუთავებელი ქსელიო.

მე ვსთქვი, რომ ეს ამისთანა ამბავი შეუძლიანთ მოახდინონ მასხარეებმა. მაგრამ ზოგჯერ ჭკვიანი კაცებიც, როცა მეტი ილაჯი არ არის, მაგ ხერხსა ჰკიდებენ ხოლმე ხელს. როცა ირლანდიელებსა და ინგლისელებს შორის გამწვავდა საქმე და დაჩაგრული ირლანდიელები ვერას გახდნენ, ისინიც ამ უწესოების წყალობით პარლამენტს აცდენდნენ და ალაპარაკებდნენ იმისთანა საქმეებზედ, რომელიც ლაპარაკადაც არა ჰღირდა, და სხვა საჭირო საქმეებზე სჯისათვის მოცალეობას არ აძლევდნენ (ერთი კუნჭული კრებისა: „არ გვინდა, გვეყოფა, ირლანდია აქ რა მოსატანია“). მე წინადვე ვიცოდი, რომ აქ ერთი კუნჭული კრებისა მე არ დამაცლის ლაპარაკსა, მაგრამ ამისი თადარიგი ჩვენცა გვაქვს დაჭერილი. კანონ-მდებელმა წინადვე იცოდა, შესაძლოაო ამისთანა სასაცილოდ აგდება კრებისა, და ამიტომაც კრების შემოსავალ კარებში კანონი შუბით ხელში დააყენა, რომ აქ კრებაში ყოველივე საქმე მის მიერ აღნიშნულ გზით შემოვიდეს და არა თითოეულის ჩვენგანის სურვილითა. ინგლისელებმა-კი მერე დაინახეს ეს გზა და იქ უკვე გაღებული კარი ამ უწესოებისა დაჰკეტეს და აქ-კი ჩვენ უკვე დაკეტილ კარს უწესოებისას ეხლა ვაღებთ.

თ. ჯანდიერების საქმის ატეხა ეხლა უეცრად ჩვენში ერთი იმისთანა მაგალითია იმ უწესოებისა, რომელიც დღეს ჩვენ ტყუილ-უბრალოდ გვაცდენს და დროს გვაკარგვინებს. ეს ერთი არა სასურველი მხარე ამ მაგალითისა. დავანებოთ ამას თავი. შევხედოთ წინ წამოყენებულ საქმეს ახლა სხვა მხრით. თ. ჯანდიერებს ბანკმა მამული გაუყიდა და, ზოგიერთების ფიქრით, უკანონოდ: „დაირღვაო უწმინდაესი უფლება მამულის პატრონისაო“, იძახიან მცველნი „უწმინდაესის უფლებისა“. ვსთქვათ, ჩვენდა საუბედუროდ, შეგვემთხვა მართლა ამისთანა საშინელი ამბავი „უწმინდაესის უფლების დარღვევისა“. ვითომ რაო? კრებას განა შეუძლიან ამ „უწმინდაესის უფლების“ აღდგენა, ამ დარღვეულის გამთელება, ესე იგი მამულის დაბრუნება პატრონისათვის? არა და არა! რატომ? მეორე „უწმინდაესის უფლების“ ძალით, რომელიც ამბობს: ყოველივე დარღვეული უფლება, უწმინდაესია, თუ არა-უწმინდაესი, უნდა აღდგენილ იქმნას დაწესებულ სამჯავროთაგანაო. მართალია, თქვენდა სასიამოვნოდ და ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგს თქვენში ჰგონია, რომ ჩვენი კრება, ვითარცა თავად-აზნაურთა კრება, ყოვლად შემძლებელია; რომ მას არც უფლება აქვს განსაზღვრული, არც მოვალეობა დაკისრებული. არა, ბატონებო, ქვეყნიერობაზედ არ არის იმისთანა სახელმწიფო, სადაც ყოველს დაწესებულებას, პარლამენტიდამ დაწყებულს უკანასკნელ გოროდოვოიამდე, ყველას თავის უფლების წრე შემოფარგლული არა ჰქონდეს გაზომილის ფარგალითა. ამაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა თ. ავალიშვილმა გუშინწინ და მე აღარ შეგაწუხებთ. ხოლო ამას დავუმატებ, რომ ყველა კაცი, თუ დაწესებულება მით უფრო მაღალია და ღირსეული, როცა კანონს თავის თავზე მაღლა დააყენებს და თითონ ქვეშ დაუდგება. ამაზეა დამყარებული კაცთა საზოგადოების ბედნიერება და დღეგრძელობა.

იქნება არც თ. ავალიშვილს და არც მე ზოგიერთი თქვენგანი არ დაგვეთანხმოს ყველაფერში, მაგრამ ამაზედ-კი უარს ვერავინ იტყვის, რომ დარღვეულის უფლების აღდგენა მარტო სასამართლოს ხელ-შეუხებელი საქმეა და მაგისი ნება ჩვენს კრებას მინიჭებული არა აქვს და არა. ეხლა ვიკითხოთ: მაშ რისთვის ვაცდენთ კრებას, უმისოდაც უკვე დაქანცულს ლაპარაკით, იმისთანა საქმეზედ, რომლის გასწორება არ შეუძლიან? რისთვის გვალაპარაკებენ თ. ჯანდიერების საქმეზედ, როცა, ჩვენდა და თქვენდა სამწუხაროდ, ვერც ჩვენ და ვერც თქვენ ტკივილს თ. ჯანდიერებისას ვერაფერს წამალს ვერ დავდებთ, გაყიდულს მამულს ვერ დავუბრუნებთ, რადგანაც ჯერ, პირველი, ამისი უფლება არა გვაქვს და მერე, მეორე, ამით დავარღვევთ „უწმინდაესვე უფლებას“ მყიდველისას. თუნდ ეგეც არ იყოს, თქვენს გადაწყვეტილებას, ვსთქვათ, თქვენი გამგეობა დაემორჩილოს, განა მყიდველი შეიწყნარებს და, რადგანაც არ შეიწყნარებს, რა ძალი გაქვთ შეაწყნარებინოთ?

გარდა ამისა, ვინა სჩივის, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა მისი „უწმინდაესი უფლება“? ანბანია წესისა, რომ უნდა სჩიოდეს დაზარალებული ამ დარღვევისაგან. აქ ჩვენ დაზარალებულს, დარღვეულ უფლების პატრონს არა ვხედავთ. მგონია, ამ საგანზედ სიტყვა ჩამოაგდო თ. დ. ამილახვარმა და ამას მხარი დაუჭირა თ. ივ. მაჩაბელმა. კარგი და პატიოსანი. ხომ არც ერთი ამათგანი დაზარალებულნი არ არიან, არც დაზარალებულთა აპეკუნები, ან სხვაფრივ წარმომადგენელნი. მაშასადამე, ტკივილი დაზარალებისა დღეს ამ საქმეს უნდა ჩამოვათალოთ, რადგანაც ზარალი მამულის პატრონისა ჯერ მაინც ხმას არ იღებს. რაღა დარჩება ამ საქმეს, რომ ეს განგებ აკვიატებული ზარალის ტკივილი ჩამოვაცალოთ, გამოვაკლოთ. აი სწორედ ის ნაწილი საქმისა დარჩება, რომელიც თითონ საქმეს ჩვენის კრების უფლების წრეში ჩააყენებს და რომელიც მართლა კრებისათვის გამოსარკვევია და ღირს - საცნობი. ეს ნაწილი საქმისა გამგეობის მოქმედებაა ამ საქმეში. უკანონო მოქმედებაო, იძახიან. შესაძლებელია და რა-კი ესეა, უსათუოდ უნდა გამოძიებულ იქმნას თქვენ მიერ. თუმცა ამას თავისი წესი აქვს,—რა გზით უნდა მოსულიყო თქვენდა განსაკითხად ეს საქმე, და ეს წესი ამ შემთხვევაში არ შეუსრულებიათ, მაგრამ რა-კი ბ-ნმა თავმჯდომარემ ნება მოგცათ ამ საქმეზედ ლაპარაკისა, ჩვენ ამაზედ არა გვეთქმის-რა. ვისაც ეს განკარგულება ბ-ნ თავმჯდომარისა არა მოსწონს, შეუძლიან პროტესტი შეიტანოს, საცა ჯერ არს. ჩვენ-კი, მე და დანარჩენნი ორნი წევრნი გამგეობისა, ვემორჩილებით ბ-ნ თავმჯდომარის განკარგულებას ყოვლად უპროტესტოდ. სჯობია საქმე გამოქვეყნდეს და ამითი აღვირ-აშვებულს მითქმა-მოთქმას კრიჭა შეეკრას.

ამ სახით, დღეს ჩვენის სამართლის სასწორზე უნდა დაიდვას თ. ჯანდიერების საქმისა მარტო ის ნაწილი, რომელიც შეეხება გამგეობის მოქმედებას, რადგანაც ამ მოქმედების გამორკვევა დაგანახვებთ, თქვენი ამორჩეული კაცები როგორ ჰპატრონობენ და უვლიან თქვენ მიერ მინდობილს საქმეს. ამ მხრით თვალის ჭერა და განკითხვა არამც თუ თქვენი ხელ-შეუხებელი უფლებაა, თქვენი უწმინდაესი მოვალეობაა. თ. ამილახვარს და მის მომხრეს თ. მაჩაბელს რომ მარტო ამ მხრით წამოეყენებინათ თ. ჯანდიერების საქმე, ვინ რას ეტყოდა. მე მომწონს ამისთანა გულის ტკივილი საზოგადო საქმისათვის, მე მომწონს ამისთანა გრძნობისაგან მოვლენილი და იძულებული განკითხვა. მაგრამ იმათ იქიდამ დაიწყეს, რომ აქ „დაირღვაო უწმინდაესი უფლება მამულის პატრონისაო“. ეს ჩავიწეროთ ჩვენს სახსოვარს დავთარში და ამ სათავიდამ დაწყებულს ბოლო გამოვუჩხრიკოთ ამ საქმეს. ლახტი-კი ამ მხრით არის მოქნეული, როგორც თქვენვე ჰხედავთ, და ახლა ვნახოთ, ლახტის წვერი სადა სწვდება და სადა სცემს. ვხედავთ, რომ ისარი ნასროლია, მშვილდი-კი დამალულია და ჯერ არა სჩანს.

თ. ჯანდიერების საქმეს რომ გულდვიძლი გავუსინჯოთ, აი რას წარმოგვიდგენს. ოქტომბერში გამოცხადებული იყო გაზეთებში, რომ წლიურ შემოსატან ფულის წარმოუდგენელობის გამო გასასყიდად დანიშნულია თ. ვლადიმირ ჯანდიერის მამული და თ. ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერებისაო. ესენი სამნივე ძმები არიან და ამათში თ. ვლადიმერს ცალკე აქვს ცალკე მამულზე გატანილი სესხი და ორს დანარჩენს ცალკე. ამ ორს მამულზე უნდა შემოეტანათ 387 მანეთი. 2-ს დეკემბერს მოგვივიდა თ. ზაალისაგან 89 მანათი და იწერება, მიიღეთ თ. ვლადიმირ, ალექსანდრე და ზაალის ვალშიაო. რადგანაც წიგნში ნაჩვენები არ იყო, ამ ფულიდამ ვის ვალში რამდენი მიგვეღო, ავიღეთ და ეგ ფული ჩავწერეთ „на переходныя суммы“, ესე იგი იქ, საცა იწერება სხვათა შორის იმისთანა ფულიცა, რომელიც ფულის პატრონს გამოუგზავნია და არ აუხსნია-კი რომელს ანგარიშზე მივიღოთ, სად როგორ გავანაწილოთ. თ. ჯანდიერთაგან ჩვეულ ვიყავით, რომ ფულსა ჰგზავნიდნენ და წიგნში არ იხსენიებდნენ განაწილებას ფულისას, ხოლო გვწერდნენ ხოლმე, რომ ფული მიიღეთ და როგორ გაანაწილოთ, თავის დროზედ გაცნობებთო. არა ერთი და ორი წიგნი მოგვსვლია წინადაც ამისთანა და საქმეშია ჩაკერებული. ჩვენც ამისთანა წიგნებს ჩვეულმა ჩავწერეთ იგი 89 მანეთი „на переходныя суммы“ იმ იმედით, რომ თავის დროზე განაწილების ამბავსაც გვაცნობებენ და მერე ამ 89 მანეთს თავ-თავის ადგილს გადავიტანთო. თ. ზაალი ამისთანავე გვეკითხებოდა, რამდენია სულ შემოსატანი სამსავე ძმაზედაო. დეპეშა მივწერეთ და ვაცნობეთ, რომ კიდევ 298 მანეთია საჭიროო. გაყიდვა დანიშნული იყო 14-ს დეკემბერს. 5-ს დეკემბერს წერილი მოგვივიდა თ. ვლადიმერ ჯანდიერისა. იუწყებოდა, რომ სეტყვამ დაგვაზარალა და გთხოვთ, შემოსატანი ფული მადროვოთო და მამული არ გამიყიდოთო. გამგეობას არავითარი უფლება არა აქვს შეეწყნარებინა ეს თხოვნა, თუმცა სეტყვით ზარალი დასაბუთებული იყო ჯეროვანის მოწმობითა. აი, ბატონებო, ჰნახეთ ბედის ტრიალი: ამ კრებაზედ ვითხოვეთ ჩვენ, რომ ნება მოგვეცით ამისთანა შემთხვევაში შეღავათი ვაძლიოთ ხოლმე დაზარალებულთა სეტყვისაგან და სხვა უბედურებისაგან და ისინი, ვინც გვკიცხვენ დღეს, რომ არ მიეცით უკანონოდ შეღავათიო, მთელი ორი თუ სამი დღე გვკიცხავდნენ ჩვენვე, რომ შეღავათის გაკანონიერებას ვთხოულობდით. კანონით შეღავათსა უარს ჰყოფდნენ და უკანონოდ შეღავათს-კი გვიქადაგებენ ჩვენდა საკიცხავად. დეე, ესეც ჩაიწეროს სახსოვრის დავთარშია ნიშნად იმისა, თუ რა გულწრფელად და გულის ტკივილით ეკიდებიან ზოგიერთნი თქვენს საზოგადო საქმეს.

ჩვენ თხოვნა თ. ვლადიმერ ჯანდიერისა გადავეცით ზედამხედველს კომიტეტს, რადგანაც იმის ხელთ არის იგი ფული, რომელიც ამისთანა შემთხვევისათვის არის კანონით გადადებული ცალკე დაზარალებულ წევრთა-დამფუძნებელთა ხელის გასამართავად. ამ სახით ჩვენ უარი ვუთხარით თ. ვლად. ჯანდიერს და თ. ლევან ჯანდიერის შემწეობით ვაცნობეთ. სწორედ 14 დეკემბერს მოგვდის დეპეშა, რომლითაც ფოსტის უფროსი თელავისა გვაუწყებს, რომ ვლადიმერ ჯანდიერმა ბანკში გამოსაგზავნად დღეს შემოიტანა 262 მანეთიო. იცით, ბატონებო, რა დღეა მამულების გაყიდვის დღე. სწორედ ჯოჯოხეთია. ვსთქვათ, მე გულ-ქვავი კაცი ვარ და არასა ვგრძნობ, მაგრამ ამ დღეს სხვა ჩემი ამხანაგები-კი სწორედ წამებულნი არიან. ათასი კაცი ირევა, ზოგი გვემუდარება, ნუ დამღუპავთ, წვრილ-შვილი ვარ, შემოსატანი დაგვაცალეთ, მამულს ნუ გამიყიდითო; ზოგი გვევაჭრება ფული სრულად ველარსად მოვახერხე და ამა-და-ამ ნაწილს დაგვჯერდითო; ზოგი ჰკითხულობს, ესა-და-ეს მამული მინდა ვიყიდო და საქმე გამასინჯეთო; ზოგს ფული შემოაქვს და კვიტანცია მომეცითო; ზოგი იხვეწება ერთი ორიოდ საათი დამაცალეთ და ფულს მოვიტანო. ერთის სიტყვით, მთელი ბუღჰალტერია, კანცელარია, გამგეობა სულ ფეხზედა სდგას და ათას ნაირ ხვეწნა-მუდარებას, ათას ნაირ თხოვნას, ათას ნაირს საკითხს უძლევება ღონე მიხდილი და გაბრუებული. ამისთანა ვაი-ვაგლახში აუარებელი დეპეშა და წიგნი მოგვდის. ყველას გაძღოლა უნდა, ყველას ასეთი თუ ისეთი პასუხი, მერე საჩქაროდ და ხან დაუყოვნებლად. მოგვდის დეპეშა თ. ვლად. ჯანდიერისაც, როგორცა ზემოდა ვსთქვით. არას იწერება, განაწილებლად ჰგზავნის ძმების ვალისათვისაც, თუ მარტო თავის ვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ მისი საკუთარი ვალი 244 მანეთი იყო. ავიღეთ და დეპეშით ცნობილი 262 მანეთი მარტო თ. ვლად. ჯანდიერის ვალში მივიღეთ და 18 მანეთი ნარჩენი თავნიდამ მოვაშორეთ. სხვა რა უნდა გვექმნა? ან ჩვენ რა ნება გვქონდა თ. ვლადიმერისაგან გამოგზავნილი ფული მისდა უჩვენებლად აგველო და იმის ძმების ვალში ჩაგვერიცხა. ამბობენ, გამგეობას უნდა სცოდნოდა წინა მაგალითებიდამ, რომ ეს სამნი ძმანი ჯანდიერნი ერთმანეთისათვის ჰგზავნიდნენ ხოლმე ფულსაო. ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენ დალოცვილ ქართველობაში თუმცა ძმანი ბევრჯელ ერთმანეთის მოყვარულნი არიან, მაგრამ არა იშვიათია ისიც, რომ მტრებზედ უარესები არიან. მეორე ისა, რომ ბუღჰალტერიამ არ მოგვაგონა ის 89 მანეთი, რომელიც წინად გამოგზავნილი იყო და, სწორედ მოგახსენოთ. აქ არც ბუღჰალტერიაა გასამტყუნარი: სად დაიხსომოს კაცმა, რომ ამა-და-ამ კაცის ფული ჩაწერილია **на переходныя суммы**? ყოვლად შეუძლებელია ამას დახსომება და ნამეტნავად ამის გახსენება იმისთანა ვაი-ვაგლახში, როგორც გაყიდვის დღეა, როცა კაცს თავის თავიც ავიწყდება. ეგ იმისი მოვალეობაა მოგვაგონოს, ვინც ფულსა ჰგზავნის იმისდა უჩვენებლად, ვისთვის და რისთვის.

თუნდ ეგეც მოგვგონებოდა, მაინც მამულის გაყიდვისაგან დახსნისათვის თ. ჯანდიერებს აკლდებოდათ 36 მანეთი სამსავე ძმას ერთად. კანონი გვაიძულებს მამული გავყიდოთ, თუნდ ერთი გროში აკლდეს შემოსატანს. მაშასადამე, აქ, რაკი 36 მანეთი აკლდათ საერთოდ თ. ჯანდიერებს, ვერავინ გვეტყვის, რომ უკანონოდ მოვიქეცით, რომ მამული გავყიდეთ. სწორედ მოგახსენოთ, 36 მანეთის გულისათვის ამ შემთხვევაში მამულს არ გავყიდდით, ჩვენ თითონ, გამგეობის წევრნი, ვიკისრებდით ამ 36 მანათს, თუ თ. ჯანდიერნი მერე არ გამოგზავნიდნენ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ის 89 მანეთი ბუღჰალტერიამ არ მოგვაგონა. ამ სახით, თ. ვლადიმერისაგან გამოგზავნილი 262 მანეთი იმის ვალში მივიღეთ და თ. ალექსანდრე და ზაალის მამული-კი გაიყიდა. იგი იყიდა თ. ვლადიმერ ჯანდიერისვე მეუღლემ და ჩვენ გვარწმუნებდა, რომ იმავ ჯანდიერებს დავუბრუნებო. ბოლოს, 24 დეკემბერს, ესე იგი, ათს დღეს შემდეგ, როცა მამული უკვე გაყიდული იყო, მოგვდის წერილი თ. ვლადიმერ ჯანდიერისა, რომ ჩემ მიერ გამოგზავნილი 262 მანეთი ამა-და-ამ რიგად გაანაწილეთო ჩემსა და ჩემთა ძმათა ვალთა შორისო. გვიან-ღა იყო, საქმეს აღარა ეშველებოდა-რა, ჩვენდა სამწუხაროდ.

მერე მოვიდა ბანკში თვით თ. ვლადიმერ ჯანდიერი და სამდურავი სთქვა: რად გაუყიდეთ ჩემს ძმებს მამულიო. მოვიკითხეთ საქმე და საქმის გარემოება ავუხსენით. მას შემდეგ ბევრს შევეცადენით, რომ მყიდველს დაებრუნებინა პატრონისათვის მამული, შუაკაცად თვით თ. ლევან ჯანდიერი შევაყენეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ბოლოს ნოტარიუსისაგან მოვითხოვეთ ნასყიდობის ქაღალდი და ვთხოვეთ, ჯერ ნუ დაამტკიცებო. მოგვივიდა ნოტარიუსისაგან ნათხოვნი ქაღალდი, მოვიწვიეთ ჩვენი იურის-კონსულტი, ავუხსენით საქმის გარემოება და ვკითხეთ, შესაძლოა თუ არა როგორმე დაიშალოს ეს საქმე და პატრონს მამული დავუბრუნოთო. იურის-კონსულტმა გვიპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ყოველი წესიერება შესრულებულია და დარღვევა ნასყიდობისა ყოვლად შეუძლებელიაო. თ. ვლადიმერ ჯანდიერს ვაუწყეთ ეს პასუხი და ერთი რჩევა მივეცით შემდეგისათვის. იგი სრულიად კმაყოფილი წავიდა, რაკი ეს რჩევა მიიღო, და მას აქეთია მის მიერ არავითარი საჩივარი არ ისმის.

კიდევ ვიმეორებ, მამულის პატრონი თითონ არა სჩივის, არავისათვის მიუნდვია იჩივლოს და ამ საქმის ამტეხნი აქ რა შუაში არიან, არ ვიცი. თ. ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერნი მცირე წლოვანები არ არიან, ჩვენზე მეტად თუ არა, ნაკლებ ნასწავლნი არ არიან, ლაპარაკიც იციან და იგინი არას ამბობენ თავის „უწმინდაესის უფლების დარღვევის“ გამო და აქ სხვას რა ხელი აქვ. მგონი ერთი ამ ჯანდიერთაგანი აქა ბძანდება და აბა ერთი ვკითხოთ: აქვს რაიმე პრეტენზია ბანკზედ ამ საქმის გამო და თუ აქვს, თითონ რატომ არას მოგახსენებთ?

აი, ბატონებო, სრული ვითარება ამ სამწუხარო ამბისა. ეხლა თქვენზეა და თქვენს სამართალზე დამოკიდებული გვითხრათ: ეს საქმე განა იმოდენად აწვიმებს, რამოდენადაც ზოგიერთებს აქუხებს!.. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

(„ჯანდიერმა სთქვას, ჯანდიერმაო“, უყვირიან ერთნი, მეორენი არა ნდომულობენ).

თ. ა. ჯანდიერი. მე თითონ არა ვჩივი და არც არავისთვის მითხოვნია, ჩემს მაგიერად იჩივლე-მეთქი.

თ. ი. გ. მაჩაბელი. ამისთანა მოულოდნელსა და უცნაურს ამბებს უკვე მივეჩვიე და აღარ მაკვირვებს. მე თ. ჯანდიერის მონდობილებით-კი არა ვლაპარაკობ, ჩემის საკუთარის სინიდისის მონდობილებით! (ტაშის ცემაა).

შემდეგ არჩევანებს შეუდგნენ. ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა კიდეც მოხსენებული, რითიც დაბოლოვდა ეს არჩევანები. კრება გათავდა ღამის $11^1/_2$ საათზედ.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. სურამი, 27 მაისი. დადგა ზაფხული და ავაზაკებმაც იჩინეს თავი. 20 მაისს სამის ვერსის სიშორეზედ სოფელ ალილნადგან, ჰერათხევის გზაზედ, შუადღის დროს, თანადასწრებით აუარებელის მეურმებისა, რომლებიც ეზიდებიან შავ-ქვას, სამი ავაზაკი შეთოფ-იარაღებული დაეცა მიმავალ მგზავრებს, ონელს ვაჭრებს, მამუკა ჯოხაძესა და მისს ბიძაშვილს. უკანასკნელი გასძარცვეს, რაც რამე ებადა, სულ წაართვეს. მამუკა ჯოხაძეს ესროლეს თოფი და დასჭრეს ბეჭში. ტყვია ძუძუს ქვეით გამოვარდა. ამავე დროს გასძარცვეს საჩხერელი ვაჭარი, ენოქა ხოჯაევი, წაართვეს ვერცხლის ხანჯალ-ქამარი და თორმეტი თუმანი ფული. 24 მაისს ალელმა გლეხებმა იპოვნეს ჰერათხევის ტყეში მოკლული კაცი, რომელსაც ყელი ჰქონდა გამოჭრილი. ჯერ ამ კაცის ვინაობა არავის შეუტყვია. ამ მკვდრის ახლოს იპოვნეს ჩოხა მასრებითა და ერთი ხელი ტანისამოსი.

გაძარცულმა ჯოხაძემ ილაპარაკა: როდესაც მე გამძარცვეს, იმ დროს ერთს კაცს გამოეკიდნენო, რომელიც ტყეში გაექცათო. ნამდვილად ჯერ არ იციან, ეს მოკლული კაცი მგზავრთაგანია, თუ იმათი ამხანაგია. დღეს, 25 მაისს, აქედგან წავიდა პოლიციის მოხელე და ვნახოთ, რას აღმოაჩენს. ეს-კი შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ რაც ამ გზაზედ ამ ოთხის წლის განმავლობაში ავაზაკობა მოხდა, ჯერ დღემდის არც ერთის ჩამდენი არ აღმოუჩენია აქაურს პოლიციას. შარშან მაზრის უფროსის შუამდგომლობით, გორის მაზრაში დააარსეს ცხენოსანი რაზმი სხვა-და-სხვა ალაგას. ვგონებ ერთი საშიშ ალაგთაგანიც ჰერათხევი ითვლება. თუმცა მართალია, ამ გზაზედ აუარებელი შავის ქვის ურმები დაიარება შეუწყვეტლად, მაგრამ მეურმეების სიარული ხელს არ უშლით ავაზაკებს და თამამად ნავარდობენ. ვგონებ აქაც საჭირო იყო ცხენოსანი რაზმი ჩაეყენებინათ, მაგრამ არ ვიცით რა მიზეზია, რომ ასე უყურადღებოდ არის დატოვებული.

სასურველია მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და ცხენოსანი რაზმი დანიშნოს, როგორც ჰერათხევში, ისე ზელამოთხევშიაც, რადგან ეს ორი ალაგი ძველის-ძველად ავაზაკების ბუდედ ითვლებოდა და ეხლაც ავაზაკები აქედგან იწყებენ თავიანთ ავაზაკობის ჩადენას. შარშან იყო-და, ზელამოთხევში თავ-მოჭრილი კაცი იპოვნეს და იმისი მკვლელი დღესაც ვერავის გაუგია; ამ ორის წლის წინად იყო-და, ჰერათხევში რამდენიმე კაცი გასძარცვეს, რამდენიმე დასჭრეს და ორი ქალიც ტყვიით დახვრიტეს და სხვ., მაგრამ პოლიციას ჯერ ვერ აღმოუჩენია ბოროტების ჩამდენნი. ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა მიაქცევს თავის ყურადღებას და ამ ორს საშიშს ალაგს ჩააყენებს ჩაფრებს. ამასთანავე უნდა დაწესდეს, რომ ღამის დარაჯები მუდამ იარაღით დაიარებოდნენ და სოფელს ჰდარაჯობდნენ; თორემ ეხლა დაენახვებიან სოფლის მამასახლისს თავიანთის ჯოხებითა და იმავე საათში თავიანთს სახლებში წავლენ დასაძინებლად, არც ყურის გდებაა, არც ერთი და არც მეორე. სოფლის მცხოვრებლები ღვთის ანაბარას არიან. დატოვებულნი

◆◆

ხელ-შეკრულობა

„საურთიერთო დახმარების ამხანაგობისა“ *)

§ 19. უკეთუ ამხანაგობის წევრთა საერთო რიცხვი 30-ია, საზოგადო კრება შესდგება არა ნაკლებ 15 წევრის თანადასწრებით; თუ საერთო რიცხვი წევრთა 30-ზედ მეტია, კრება შესდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოცხადდება არა ნაკლებ 25 წევრისა. თუ ან პირველსა და ან მეორე შემთხვევაში დამსწრე წევრთა რიცხვი ნაკლებია ზემოხსენებულზედ, კრება ვერ შესდგება და უნდა დაინიშნოს ახალი ვადა კრებისათვის, 7 დღეზედ ადრე-კი არა. და ეს ახალს ვადაზე დანიშნული კანონიერს კრებად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, და მისი გადაწყვეტილება შესახებ იმ საგნებისა, რომელიც დანიშნული იყო განსახილველად წარსულ არ-შემდგარ კრებაზედ, სავალდებულოა ამხანაგობის ყველა წევრთათვის.

§ 20. საზოგადო კრება განიხილავს მხოლოდ იმ საგნებს, რომელთა გადასაწყვეტად კრება მოწოდებულია, და არას გზით ახალ საგნების განხილვაში არ შედის. ახალი საგნები, კრების სურვილისამებრ, შესაძლოა დაინიშნოს შემდეგის კრების განსახილველად. საზოგადო კრებაზედ საქმები გადაწყდება დამსწრეთა ხმის უმეტესობით, ანუ იმ გზით, რა გზასაც ურჩევს კრებას თავმჯდომარე, ხოლო არჩევანი მოხელეთა, მიღება ახალ წევრთა, დამტკიცება კანტორის წლიურის ანგარიშისა, დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა, აგრეთვე გამორიცხვა შეუსაბამო წევრთა ამხანაგობიდგან უნდა მოხდეს მხოლოდ დაფარულის კენჭის ყრით.

§ 21. თითოეული საზოგადო კრება ირჩევს თავის თავმჯდომარეს, ხოლო მის არჩევამდე თავმჯდომარეობს გამგებელი ამხანაგობისა. მდივანი კანტორისა სწერს განაჩენს საზოგადო კრებისას. ეს განაჩენები ინახება კანტორაში და სავალდებულოა ამხანაგობის ყველა წევრისათვის.

§ 22. იანვრის ყოველ-წლიური კრება ჰსინჯავს, ასწორებს და ამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას მდგომარე წლისას. ხარჯთ აღრიცხვის, ანუ ხარჯისა და შემოსავლის პროექტს ადგენს კანტორა, რომელსაც განსაკუთრებულს შემთხვევაში შეუძლიან, თუ პასუხის გებას თითონ იტვირთებს, დამტკიცებულ პროექტის წრესაც გადავიდეს საზოგადო კრების ნება-დაურთველად და დაჰხარჯოს ორას თუმნამდე. მაგრამ გასწევს თუ არა ამ ხარჯს, კანტორამ დაუყოვნებლივ უნდა მოუწოდოს ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებას და იმან უნდა დაამტკიცოს, რომ კანტორას ეგ ხარჯი მართლა საჭირო საგნისათვის გაუწევია. უკეთუ კრებამ დაფარულის კენჭის ყრით არ შეიწყნარა ასეთის ხარჯის გაწევა, კანტორის წევრნი თავად ტვირთულობენ ამ ხარჯს. იმავე იანვრის კრებაზედ უნდა იქმნას განხილული მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ წარსულის წლის განმავლობაში და, თანხმად მოხსენებისა, კრება ან ამტკიცებს კანტორის წლიურს ანგარიშს, ან, არა-და, თუ ვინიცობაა, ანგარიში სწორე არ არის და უთანხმოება ჩამოვარდა, საზოგადო კრება იძიებს სხვა-და-სხვა ღონეს ანგარიშის გასწორებისა და ამხანაგობის ინტერესების დაცვისათვის.

§ 23. არა წლიურ საზოგადო კრებას-კი საგნად აქვს განიხილოს მორიგი საქმენი ამხანაგობისა.

§ 24. წლიურ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ამხანაგობის მოგება ასე განაწილდება: $20^0/_0$ ჩაირიცხება სათადარიგო თანხად. ამ თანხას იმ რაოდენობამდე, რომელსაც გარდასწყვეტს საზოგადო კრება, საგნად ექმნება გაისტუმროს ზარალი ამხანაგობისა, ხოლო ნამეტნავობა შეიძლება მოხმარებულ იქმნას როგორც სამუშაო თანხა; $60^0/_0$ მიემატება ამ თანხას, ხუთის წლის შემდეგ-კი, მას მერედ, როცა დაიწყო ამხანაგობის მოქმედება, ამ $60^0/_0$-დგან მიეცემათ იმდენი მოგება წევრთ, რამდენიც თითოეულს პაის შეხვდება; დანარჩენი $20^0/_0$ განაწილებულ იქმნება კანტორის მოხელეთა შორის.

შენიშვნა. იმ წევრთა, რომელნიც თავიანთ თანხას შემოიტანენ ამხანაგობის დაარსების შემდეგ, ნება აქვთ მიიღონ მოგება მხოლოდ ხუთის წლის უკან, დაწყებული იმ დღიდგან, რა დღესაც შემოსულან ამხანაგად.

§ 25. გაუქმება (ლიკვიდაცია) ამხანაგობის საქმეთა შესაძლოა მხოლოდ საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით. ამ კრებაზედ უნდა დაესწროს არა ნაკლებ $^2/_3$ ამხანაგობის ყველა წევრისა, ხოლო უმეტესობის მხარეზედ უნდა იყოს დამსწრეთა $^3/_4$ მაინც. საქმეთა გაუქმების შემდეგ, მთელი ქონება ამხანაგობისა უნდა გაყიდულ იქმნას და, როგორც ნაღდი ფული, ისე ქონების გაყიდვით აღებული, უნდა განაწილდეს ამხანაგობის წევრთ შორის მათ შემოტანილ ფულის რაოდენობის მიხედვით, ხოლო რაც შემოსულია ამ ხელშეკრულობის პირველ პარაგრაფის პირველ შენიშვნის ძალით და საკუთრებაა ამხანაგობისა, უნდა გარდაეცეს სრულიად, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, რომელსამე საქველმოქმედო საზოგადოებას ტფილისში მოზარდ თაობის აღსაზრდელად.

§ 26. საზოგადო კრებას, რომელსაც დაესწრება $^2/_3$ ამხანაგობის ყველა წევრისა, შეუძლიან, თუ საჭიროება მოითხოვს, შესცვალოს და შეავსოს ეს ხელშეკრულობა. ეს ცვლილება და შევსება სავალდებულოა იმათთვისაც, ვინც ამ საზოგადო კრებას არ დასწრებია, აგრეთვე იმ წევრთათვისაც, რომელთაც ხელი არ მოუწერიათ ამ ხელშეკრულობაზედ.

§ 27. ეს ხელშეკრულობა დაურღვეველია. ვინც დაარღვევს, საზოგადო კრებას ნება აქვს გამოჰრიცხოს ამხანაგობის წევრთა სიიდგან. ამ ხელშეკრულობის ყველა მუხლი სავალდებულოა იმ ახალ წევრთათვისაც, რომელთაც ხელი არ უწერიათ ზედ.

§ 28. ნამდვილი ესე ხელშეკრულობა, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, ინახება ამხანაგობის კანტორაში, ხოლო დაბეჭდილი ასლი მისი შეიძლება ამხანაგობის ყოველმა წევრმა წაიღოს.

◆◆

დეპეშა

28 მაისი

პეტერბურგი. გუშინ, დილის 8 საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი მიბრძანდა კოპენჰაგენს, ხოლო იქიდგან 10 საათზედ წაბრძანდა ციხე-დარბაზს ბერნსდორფში.

საჭიროდ ცნობილი იქმნა გადათვალიერება სასურსათო წესდებისა.

„Новое Время“ იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრი ივნისის დამდეგს წაბრძანდება საზღვარ-გარედ და შემდეგ მოივლის სამხრეთს რუსეთსაო.

კვლავ ნება დართულ იქმნა გაზეთ „Руская Жизнь“-ის ცალკე ნომრების ყიდვა.

---

*) იხ. „ივერია“ № № 97 და 104.

პარიჟი. ტროკადეროში წარმოდგენა რუს კომპოზიტორთა იმ ნაწარმოებთა, რომელიც აქამდე არ წარმოუდგენიათ საფრანგეთში, ეს არის ეხლა დამთავრდა. განსაკუთრებით მრავალი ტაში დაუკრეს სიმფონიას „Бородино“-ს-

პეტერბურგის ბირჟა, 26 მაისი

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7,_{56}$	$7,_{58}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$151^1/_4$	152	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	$1,_{10}$	— ,,
5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$241^1/_2$
—მეორისა	— ,,	— ,,	221
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	193	$193^1/_2$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6°/₀.	— ,,	— ,,	$101^1/_2$
5°/₀.	— ,,	— ,,	$99^1/_2$
ქუთაისის ბანკისა 6°/₀.	$101^1/_2$	— ,,	— ,,
5°/₀.	$99^1/_2$	— ,,	— ,,
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	$89^1/_2$

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაით.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

განცხადებანი

შეშა

დიდს საწყობში

რკინის გზის ვაგზალთან, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.

ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, ½ კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამზარეულო და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონთაგან. 10—2

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—52)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

„ახალი ანბანი“

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . , . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

ქართველნი

ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი,

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.)
(6—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . .	„	40
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	20
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა .	„	30
აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა .	1	„
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50
საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი	„	45
რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.	„	25
სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . .	„	20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა	1	„
ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი.	1	50
ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . .	„	40
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი	„	55
ლექსები გრ. ორბელიანისა	„	50
ლექსები ვახტანგ ორბელიანისა	„	20
სურათი შ. რუსთაველისა	„	60
წმ. ნინოს ხატი . . .	„	50
გეომეტრია მ. ზ. ყიფიანისა, ნაწილი „ II სტერეომეტრია „ უმდაბლესი გეოდეზია „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლოგარითმოსის ტაბლიცებისი . . .	„	50

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, ...	9 ,, 50,,	5 ,, ...	5 ,, 50,,
10 ,, ...	8 ,, 75,,	4 ,, ...	4 ,, 75,,
9 ,, ...	8 ,, —,,	3 ,, ...	3 ,, 50,,
8 ,, ...	7 ,, 25,,	2 ,, ...	2 ,, 75,,
7 ,, ...	6 ,, 50,,	1 ,, ...	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ,,.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ. № 21.

КАВКА
ВЫС
СЕЛЬСК.
ПРОМЫШ
188
Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМПЕРАТ. И САМОД. ВСЕРОСС.

ტფილ. გამოფენა.

Б.М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვერცხლისა

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя литографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—14)

Дозв. ценз. Тифлисъ, 29-го Мая 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.